ჯუჯა ბანანი

დააკვირდი სურათს. ეს ჯუჯა ბანანია. წაიკითხე ტექსტი და გაიგე, როგორ უნდა გაახარო ასეთი პატარა ხე ოთახის პირობებში.

ბანანი თბილ ქვეყნებში ხარობს. მცენარე სიმაღლეში 9 მეტრამდე იზრდება. თუმცა ოთახის პირობებში მისი სიმაღლე 2 მეტრს **არ აღემატება**. ასეთ ბანანს **ჯუჯა ხეს** უწოდებენ. ჯუჯა ბანანის ნაყოფიც პატარა ზომისაა.

გინდა შენც სცადო ან სხვას ურჩიო, როგორ გაახაროს ბანანი სახლში? ამისათვის უნდა გაეცნო ქვემოთ მოცემულ მითითებებს.

ქოთნის მომზადება

აიღე საშუალო ზომის ქოთანი. პირველ რიგში, დაფარე მისი **ძირი** აგურის წვრილი ნატეხებით. შემდეგ აკაციის ან კაკლის ხის ძირიდან მოაგროვე მიწის ზედა ფენა. ჩაყარე ქოთანში, დაუმატე ცოტა ნაცარი და ცოტაც – ქვიშა. დაასხი მიწას მდუღარე წყალი. ცხელი წყალი საჭიროა იმისთვის, რომ მცენარეს მავნებელი მწერი არ გაუჩნდეს. ცოტა ხნის შემდეგ ჩარგე მასში ჯუჯა ბანანი.

რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ბანანმა ოთახის პირობებში გაიხაროს?

სასარგებლო რჩევები

- ბანანს **შუქი** უყვარს. ამიტომ დადგი ქოთანი ოთახის ყველაზე განათებულ ადგილას. შეგიძლია გამოიყენო ხელოვნური განათებაც.
- ოთახში სითბო 16 გრადუსზე ქვემოთ არ უნდა იყოს.
- ქოთანს გვერდით დაუდგი წყლით სავსე ჯამი.
- თუ ბანანს აივანზე დგამ, მოარიდე მზის სხივებსა და ორპირ ქარს.
- მორწყე შემთბარი წყლით დღეში ერთხელ.
- ზამთარში წყალი თვეში მხოლოდ ერთხელ დაუსხი.

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ჯუჯა ბანანის დასარგავად ჯერ:

ა) ოთახი ხელოვნურად უნდა გაანათო.

ბ) უნდა მოიმარაგო საკმაო რაოდენობის წყალი.

გ) წესის მიხედვით უნდა მოამზადო ქოთანი.

2 მას შემდეგ, რაც ქოთანში მიწას ჩაყრი, პირველ რიგში:

ა) უნდა დაასხა მდუღარე წყალი.

ბ) უნდა დაუმატო ცოტა ნაცარი.

გ) ქოთანი ნათელ ადგილას უნდა დადგა.

3 თუ ჯუჯა ბანანს აივანზე დადგამ, უნდა:

ა) გამოიყენო ხელოვნური განათება.

ბ) მოარიდო ორპირ ქარს.

გ) მორწყო თვეში ერთხელ.

4 ტექსტის მთავარი მიზანია გაგვაცნოს:

ა) რა სიმაღლის იზრდება ჯუჯა ბანანი.

ბ) როგორ დარგო და მოუარო ჯუჯა ბაბანს.

გ) როგორ ნაყოფს იძლევა ჯუჯა ბანანი.

5 რის შესახებ <u>არ არის</u> საუბარი ტექსტში?

ა) რისთვის სჭირდება მიწას ნაცრის დამატება.

ბ) როგორ პირობებში ხარობს ჯუჯა ბანანი.

გ) როდის უნდა დავასხათ მიწას ცხელი წყალი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ჯუჯა ხის სიმაღლე 2 მეტრს **<u>არ აღემატება</u>.**

   ა) არ უტოლდება. ბ) არ აღწევს. გ) არ აჭარბებს.

2. აივანზე **<u>ჯუჯა</u>** ბანანის ხე დგას.

   ა) ძალიან გემრიელი. ბ) ძალიან ლამაზი. გ) ძალიან პატარა.

3. ბანანს **<u>შუქი</u>** უყვარს.

   ა) სითბო. ბ) სინათლე. გ) სიცხე.

2 სიტყვა <u>ძირი</u> რომელ წინადადებაში აღნიშნავს „ფსკერს“?

ა) დაფარე ქოთნის ძირი აგურის ნატეხებით.

ბ) მოაგროვე ხის ძირიდან მიწის სქელი ფენა.

გ) ჯუჯა ბანანის ძირში წყლიანი ჯამი დადგი.

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) აღება – დადება. ბ) დამატება – მოკლება. გ) რჩევა – დარიგება.

4 ხაზებით დააკავშირე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

1. მავნებელი	ბუნებრივი
2. სავსე	მსხვილი
3. წვრილი	სასარგებლო
4. ხელოვნური	ცარიელი

გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სწორი ფორმით.

1. არ დაგავიწყდეს (ნაცარი) ---------- დამატება.
2. (*წყალი*) ---------- სავსე ჯამი აქ დადგი.
3. შეაგროვეთ (*აკაცია*) ---------- ფოთლები.

2 რომელია სწორი?

ა) ახალი წესები. ბ) რამდენიმე წესები. გ) ყველა წესები.

3 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *ის, რაც ადუღდა, არის* ***ადუღებული****.*

1. ის, რაც განათდა, არის ----------. 2. ის, რაც დაირგო, არის ---------- .

წერა

1 ტექტის მიხედვით დაწერე ჯუჯა ბანანის დარგვისა და მოვლის წესები თანამიმდევრობით.

ნაბიჯი 1.	ნაბიჯი 2.	ნაბიჯი 3.	ნაბიჯი 4.	ნაბიჯი 5.
საშუალო ზომის ქოთნის აღება.				

2 წარმოიდგინე, რომ ზამთრის არდადეგებზე შენი ჯუჯა ბანანი დროებით დაუტოვე მეგობარს. ურჩიე მას, როგორ მოუაროს მცენარეს ზამთრის პირობებში. რჩევები დაწერე ნაბიჯების სახით. გააფორმე ნახატებით.

ნაბიჯი 1.	ნაბიჯი 2.	ნაბიჯი 3.	ნაბიჯი 4.